

## წმ. მარიამის თაყვანისცემა ადრეულ ქრისტიანობაში

ჩემი აზრით, საგულისხმოა, რომ დღემდე მცირედ არის შესწავლილი ის თუ, როგორ ვითარდებოდა წმ. მარიამის მიმართ ღვთისმოსაობის გამოვლინება უძველეს ქრისტიანობაში. იმ მნიშვნელოვანი ადგილის გათვალისწინებით, რაც ქალწული მარიამის თაყვანისცემას ეჭირა ქრისტიანობის ისტორიაში, შეიძლება გაგვიჩნდეს მოლოდინი, რომ ამ თემასთან დაკავშირებით უნდა არსებობდეს დიდი რაოდენობით მონოგრაფიები. თუმცა, როგორც ეს ჩემამდე სხვებმაც აღნიშნეს, სინამდვილეში იგრძნობა მსგავსი საფუძვლიანი კვლევების ნაკლებობა. მასალების სიმწირის პრობლემის წინაშე, დაახლოებით, ოცდაათი წლის წინ ავღმოჩნდი, როდესაც შევუდექი კვლევით სამუშაოს ჩემი პირველი წიგნის დასაწერად ადრეულ ქრისტიანობაში წმ.მარიამის მიძინებასა და ამაღლებასთან დაკავშირებით. მე თავიდანვე ვივარაუდე, რომ წმ. მარიამის მიმართ ღვთისმოსაობის წარმომავლობის წყაროები თანხვედრაში უნდა ყოფილიყო ადრეული ქრისტიანობის ისტორიასთან. და, ჯერ კიდევ ცხადად მახსოვს ჩემი გაოცება, როდესაც ბიზანტიური ღვთისმოსაობის შემსწავლელმა ერთ-ერთმა სპეციალისტმა გამიმხილა ვარაუდი იმის თაობაზე, რომ წმ. მარიამის შემწეობის წარმომავლობის საწყისები შესაძლებელია ვეძებოთ, სწორედ, მიძინების და ამაღლების ადრექრისტიანულ ტრადიციაში. მე კი მეგონა (მეამიტურად), რომ ეს საკითხი დიდი ხნის გარკვეული იყო. გვიანი ანტიკური პერიოდის წმ. მარიამის თაყვანისცემის სპეციფიკური ასპექტების თაობაზე გარკვეული რაოდენობის მშვენიერი ტექსტის, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიის, არსებობის მიუხედავად, დღემდე არ შექმნილა ადრეულ ქრისტიანობაში წმ. მარიამის ღვთისმოსაობის აღმოცენების ისტორიის ადექვატური წერილობითი აღწერა. ყველაფერი, თითქოს, ისეა, როგორც ერთხელ პიტერ ბრაუნმა დაწერა წმინდანების ადრეული კულტის შესახებ: „გვიან ანტიკურ პერიოდში აღმოცენებული წმ.მარიამის თაყვანისცემა ქრისტიანობის ისტორიის შემდგომ ათასწლეულში გახდა მისი ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილი და გზავნილი, რომ უყოყმანოდ უნდა ვაღიაროთ მისი შემდგომი განვითარება.“ წმ. მარიამის სახელის ტოტალური არარსებობა ბრაუნის ვრცელ ნაშრომში წმინდანების კულტის შესახებ, მე ვიტყვოდი, საკმაოდ ბევრის მთქმელია.

რა თქმა უნდა, წმ. მარიამის დოქტრინა ვრცლად შეისწავლებოდა ადრეული ქრისტიანობის პერიოდში, მაგრამ ამ გამოკვლევებში, როგორც წესი, ნაკლები ყურადღება ექცეოდა წმ. მარიამის თაყვანისცემისა და მისი კულტის წარმოქმნის საკითხს და უფრო მეტად მიმართული იყო ადრექრისტიანული დოგმის

განვითარებაში წმ. მარიამის ადგილის განსაზღვრისკენ. შესაბამისად არსებობს რომის კათოლიკური ეკლესიის მკვლევართა მიერ შექმნილი დიდი რაოდენობის მასალა ადრეულ ქრისტიანობაში წმ. მარიამის როლის შესახებ, რომლის ძირითადი ნაწილი განეკუთვნება ეგრეთ წოდებულ *მარიამის საუკუნის*, 1850-1950წწ. ბოლო პერიოდს. მიუხედავად ამისა, ამ ნაშრომებში ხშირად არის გამოვლენილი წმ. მარიამის მოწმობის დოგმატური წაკითხვის ძლიერი ტერნდენცია, რაც მიმართული იყო რომის კათოლიკური ეკლესიის თანამედროვე დოქტრინის ადრექრისტიანულ ისტორიასთან შეთავსების მცდელობისკენ, ამასთანავე აშკარად ჩანს მოჭარბებული ოპტიმიზმი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ სწრაფად მოიკიდა ფეხი წმ. ქალწული მარიამის თაყვანისცემამ ძველი დროის ქრისტიანობაში. მაშინ, როდესაც ასეთ პერსპექტივას აშკარა ღირებულება გააჩნდა რომაული კათოლიციზმის კონტექსტში, ის შეზღუდული იყო ადრეული ქრისტიანობის ისტორიის განვითარებისა და მასში წმ. მარიამის როლის გააზრების თვალსაზრისით. შესაბამისად, როგორც პასუხი ადრეული ქრისტიანობის შესწავლაში არსებული ნაკლებობით გაჩენილ სირთულეზე, მე გამოვაქვეყნე საისტორიო კვლევა *წმ. მარიამის რწმენა და თაყვანისცემა ადრეულ ქრისტიანობაში*, რაც, შემდგომ, გახდა, ჩემი წიგნის სათაური, რომელიც, დაახლოებით, ხუთი წლის წინ გამოვაქვეყნე.

მაქვს სურვილი დავდო პირობა, რომ სრულად შევძლებ გავფანტო ის ისტორიული ნისლი, რომელიც წარმოიქმნა წმ. ქალწულის თაყვანისცემის წარმომავლობის გარშემო, მაგრამ, სამწუხაროდ, არსებული მტკიცებულებების სიმწირე, რაც ამ საკითხის მიმართ შედარებით ნაკლები ყურადღების ბრალია, არ მაძლევს საშუალებას მივაღწიო ამგვარ შედეგს. ამის ნაცვლად, იმედი მაქვს, რომ შევძლებ შემოგთავაზოთ ამ საკითხის მიმართ ახლებური მიდგომა, რომელიც თავის წვლილს შეიტანს იმის გაგებაში თუ როგორ აღმოჩნდა წმ. მარიამი ქრისტიანული თაყვანისცემის ფოკუსში. რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი შეიძლება ითქვას წმ. მარიამის როლის შესახებ ადრეულ ქრისტიანობაში, ვიდრე ჩემი დღევანდელი მოხსენება ან, თუნდაც ჩემი წიგნი დაიტევს, და დარწმუნებული ვარ, გაგრძელდება წმ. მარიამის მიმართ ღვთისმოსაობის გამომხატველი ახალი რელევანტური წყაროების აღმოჩენაც. და მაინც, ჩემი წიგნის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო შემეგროვებინა სხვადასხვა ადგილას გაფანტული და, ხშირად, უყურადღებოდ დატოვებული წმ. მარიამის მიმართ ღვთისმოსაობის დამადასტურებელი მონაცემები ქრისტიანობის დასაბამიდან 431 წლის ეფესოს მესამე მსოფლიო კრებამდე, სადაც მარიამი საზეიმოდ გამოაცხადეს „თეოთოკოსად“. ვინაიდან სინამდვილეში ქრისტეს შობიდან 150 წლამდე ჩვენ წმ. მარიამის თაყვანისცემის დამადასტურებელი არავითარი მტკიცებულება არ გაგვაჩნია, ამიტომ, ამ კერძო შემთხვევაში, ჩემს

ყურადღებას გავამახვილებ პერიოდზე მეორე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული ვიდრე მეხუთე საუკუნის პირველ ნახევრამდე.

ასეთი ქრონოლოგიური ფანჯრის შერჩევის მიზეზი საკმაოდ ნათელი იყო: ეფესოს კრება ცნობილია, როგორც წყალგამყოფი მოვლენა მარიამისეული ღვთისმოსაობის ისტორიაში. ფაქტობრივად, წმ. მარიამის თაყვანისცემის უეცარი აფეთქება, როგორც მსოფლიო კრების უშუალო შედეგი, იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომ ძალიან ბევრი მეცნიერი და მკვლევარი, ყველაფრისგან დამოუკიდებლად, თავად მსოფლიო კრებას და მის გადაწყვეტილებებს მიიჩნევს წმ. ქალწულის კულტის აღზევების მიზეზად. თუმცა, დღეისთვის უკვე ცნობილია, რომ წმ. მარიამის საკულტო თაყვანისცემა საკმაოდ იყო გავრცელებული ჯერ კიდევ ეფესოს კრებამდე. ამასთანვე არსებობს იმის მნიშვნელოვანი მოწმობა, რომ წინააღმდეგობები, რომლებიც მესამე მსოფლიო კრებაზე გაჩნდა ბევრწილად განპირობებული იყო წმ. ქალწულის კულტის ფართო გავრცელებით კონსტანტინოპოლსა და მთელ რომის იმპერიაში. მაშინ, როდესაც ნესტორის ქრისტოლოგიური შეხედულებები, რაც მსოფლიო კრების ძირითად განსახილველ საკითხს წარმოადგენდა, გაღიზიანებას იწვევდა მის უფრო განათლებულ თეოლოგ ოპონენტებში, ნესტორის მხრიდან მარიამის „თეოთოკოსად“ გამოცხადების უარყოფამ მის მიმართ არაპოპულარული დამოკიდებულებების უფრო დიდი ტალღა წარმოქმნა. მართალია, არსებობს კითხვები, თუ რამდენად განსაზღვრა მარიამისეული ღვთისმოსაობის საკითხმა დებატების შინაარსი და მათი შედეგი, მაგრამ უდავოა, რომ წმ. მარიამის ფართოდ გავრცელებულმა თაყვანისცემამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა უფრო ვრცელ კონტექსტში.

რამდენადაც შესაძლებელია მარიამისეულ ღვთისმოსაობასა და ეფესოს მსოფლიო კრების შედეგებს შორის პირდაპირი კავშირის შეფასება, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ კრების შემდეგ წმ. მარიამის თაყვანისცემა ფართოდ გავრცელდა და გაძლიერდა. როგორც ამას ბრაიან დეილი აღნიშნავს, მეხუთე საუკუნის შუა წლებში „მარიამის სახე კომეტასავით შემოიჭრა ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში მსოფლიოს მასშტაბით.“ ადრეული ქრისტიანობის მკვლევრები ძალისხმევას არ იშურებდნენ იმის გასააზრებლად თუ როგორ მოხდა ეფესოს კრების შემდეგ წმ. მარიამის თაყვანისცემის ასეთი დრამატული აფეთქება იმის გათვალისწინებით, რომ წინა საუკუნეების განმავლობაში საგრძნობი იყო წმ. მარიამის თაყვანისცემის ნაკლებობა. ფაქტობრივად არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ პირველი ოთხი საუკუნის წყაროებში გასაკვირად იშვიათად არის ნახსენები წმ. მარიამი. ადრეული პროტო-ორთოდოქსი მწერლები მარიამის მიერ იესოს შობის ფაქტს მისი ადამიანური

ბუნების გამოვლინებად მიიჩნევდნენ, ხოლო უბიწო ჩასახვას მისი ამაღლებული სტაუსის დასტურად. ხარების მიმართ მისი მორჩილი დამოკიდებულება თითქოს ევას ურჩობის გამოსწორების საქმეს ემსახურება და წარმოშობს „ახალ ევას“ ახალი ადამისთვის, და მისი უცვლელი ქალწულობა მაგალითს წარმოადგენს სხვა ქალწულებისთვის. მეოთხე საუკუნის შუამდე მარიამის პიროვნების მიმართ ნაკლები ინტერესი შეიმჩნეოდა და თითქმის არავითარი მოწმობა არ გაგვაჩნია მისი კულტის არსებობის შესახებ. მართლაც, რომ ძნელია შეუთავსო მსგავსი დუმილი იმ მარიამისეულ ღვთისმოსაობის აფეთქებას, რომელიც მეხუთე საუკუნეში მოხდება აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირა სამყაროში.

თუმცადა, მტკიცებულებების ნაკლებობისა და ადრეული სამეცნიერო შეხედულებების მიუხედავად, იმის თქმა, რომ მესამე მსოფლიო კრებაზე ნესტორიანული ქრისტოლოგიის გარშემო გამართულმა ღრმააზროვანმა დებატებმა ბიძგი მისცა წმ. ქალწულის კულტის ასეთ სწრაფ გავრცელებას, გულწრფელად ვიტყვი, ოდნავ ნაჩქარევად მიმაჩნია. მართალია, მსოფლიო კრების მიერ მარიამის *თეოთოკოსად* გამოცხადებამ კატალიზატორის როლი ითამაშა წმ. მარიამის კულტის აღზევებასა და გავრცელებაში, მაინც არ უნდა გაგვიჩნდეს კითხვები იმასთან დაკავშირებით, რომ წმ. მარიამის თაყვანისცემა მსოფლიო კრებამდეც საკმაოდ იყო გავრცელებული. მიუხედავად ამისა, მთავარი სირთულე, მაინც, პირველი ოთხი საუკუნის განმავლობაში მარიამის თაყვანისცემის ისეთი მკაფიო მტკიცებულების არარსებობაა, რომელიც შეძლებდა დამაჯერებლად აეხსნა მეხუთე საუკუნის შუაში მარიამისეული ღვთისმოსაობის მსგავსი აღზევება. მართალია, გვიანდელ ქრისტიანობაში წმ. მარიამის კულტის მნიშვნელოვანების გთვალისწინებით, ასეთი მტკიცებულებების იშვიათობა გასაკვირი უნდა იყოს, მაინც, საჭიროდ მიმაჩნია გავაკეთო წმ. მარიამის ქრისტიანული თაყვანისცემის ისტორიის მცირე მონახაზი.

ეფესოს კრების წინა პერიოდში მარიამისეული ღვთისმოსაობის ჩასახვის ბევრი კვალია შემორჩენილი, დღეისთვის ზოგი მათგანი ძალიან კარგად არის ცნობილი, მაგრამ ისინი სხვადასხვა ადგილას არიან გაბნეული და ხშირად ბუნდოვანება ახასიათებთ, რაც ართულებს მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის შეფასებას წმ. მარიამის თაყვანისცემის აღზევებაში. მათ შორის ყველაზე ცნობილი, რა თქმა უნდა, არის იაკობის *პროტოევანგელიე*, მეორე საუკუნის ბოლოს დაწერილი წმ. მარიამის ბიოგრაფია, რომელიშიც აღწერილია მისი ცხოვრება ჩასახვიდან, ახალგაზრდობის პერიოდის ჩათვლით, ვიდრე ქრისტეს შობამდე. ეს აპოკრიფული სახარება ღრმა ინტერესს ავლენს, როგორც თავისთავად მნიშვნელოვანი, წმ. ქალწულის პიროვნების აგრეთვე მისი უნიკალური სიწმინდის ადრეული თაყვანისცემის მიმართ, თუმცა

არსად ჩანს მისი საკულტო განდიდების ნიშნები. მიუხედავად ამისა, სახარებაში მარიამის მიმართ გამოვლენილი ღვთისმოსაობა გარკვეულად დისტანცირდება მეხუთე საუკუნეში საყოველთაოდ გავრცელებული თაყვანისცემისგან, და ნაკლებად არის ცნობილი ის, თუ რა ხდებოდა დროის ამ შუალედში. ავერილ კამერონის დაკვირვებით იაკობის „სახარება“ თავისი დროისთვის საკმაოდ განვითარებული და გარკვეული თვალსაზრისით განცალკევებით მდგომი ტექსტია. საჭიროა მისი მოთავსება იმავე პერიოდის აპოკრიფული ტექსტების უფრო ვრცელ კონტექსტში. ფაქტობრივად ეს იყო ჩემი მომავალი წიგნის მიზანი, ერთმანეთს დეფუკავშირო *Protevangeliium* და წმ. მარიამის თაყვანისცემა მეხუთე საუკუნესა შემდგომ პერიოდში, მეორე, მესამე და მეოთხე საუკუნეებში არსებული მარიამისეული ტრადიციის გათვალისწინებით.

ამ მიზნის მისღწევად შესასწავლია უამრავი წყარო, მათ შორის, დიდი ხნის განმავლობაში უყურადღებოდ დატოვებული და დღესდღეობით აღმოჩენილი ტექსტები, წმ. მარიამის მიმართ ადრეული ღვთისმოსაობის საყოველთაოდ ცნობილ მოწმობებთან ერთად. კერძოდ, ადრეული ქრისტიანობის აპოკრიფული ლიტურატურა გვთავაზობს წმ. მარიამის მიმართ ადრეულ ქრისტიანობაში არსებული ინტერესის ბევრ მნიშვნელოვან მოწმობას. ეს არაბიბლიური ტექსტები, კერძოდ მიძინებასა და ამაღლებასთან დაკავშირებული აპოკრიფები, წარმოადგენენ წმ. მარიამის თაყვანისცემის გაცილებით უფრო მკაფიო მოწმობას ვიდრე ეს ეკლესიის მამათა ნაწერებში შეიძლება იყოს მოძიებული. მართლაც, როგორც სჩანს, ეკლესიის მამებთან დაკავშირებულ წყაროებზე გაკეთებული აქცენტი გარკვეულწილად პასუხისმგებელია იმ მოსაზრებაზე, რომ წმ. მარიამის თაყვანისცემა არ იყო ფართოდ გავრცელებული ქრისტიანობის ადრეულ პერიოდში. სხვადასხვა მიზეზის გამო მარიამის მიმართ ღვთისმოსაობა უფრო მკაფიოდ არის გამოვლენილი აპოკრიფულ და ლიტურგიკულ ტექსტებში ვიდრე ეს ხდება თეოლოგიურ ან მორალისტურ ტრაქტატებში. რატომ არის ის უფრო ნათლად წარმოდგენილი ამ ტექსტებში ვიდრე ეს ხდება ეკლესიის ინტელექტუალი მამების და ეპისკოპოსების ნაწერებში არ არის მთლად გარკვეული. ამგვარად, აპოკრიფულ ნაწერებში წარმოდგენილი მოწმობები, როგორც ჩანს, გვთავაზობენ იმ მოსაზრებას, რომ მარიამის მიმართ ღვთისმოსაობა თავიდან განვითარდა „ორთოდოქსული“ ეკლესიის გავლენის სფეროს მიღმა სივრცეში - არაორთოდოქსალურ და მარგინალურ სექტებში. ზოგიერთი ამ ტექსტის მკვეთრად არაორთოდოქსალური შინაარსი, როგორც სჩანს ამყარებს ამ ჰიპოთეზას და დროდადრო ეკლესიის მამების მიერ მოთხრობილი ვერსიებისგან მკვეთრად განსხვავებულ წარმოდგენებს გვთავაზობს: მაგალითად, ზოგიერთი ადრეული ქრისტიანი ქალწულ მარიამს წარმოადგენს, როგორც ღვთაებრივი მისტერიების

მასწავლებელს. ყოველ შემთხვევაში, როგორც ამას შემდგომ დავინახავთ, ეს ტექსტები გვთავაზობენ იმის მკაფიო მტკიცებულებას, რომ წმ. მარიამის თაყვანისცემა არსებობდა, სულ მცირე, უკვე, მეოთხე საუკუნეში, თუნდაც ორთოდოქსული ეკლესიის მამები მეხუთე საუკუნემდე დისტანცირებას ახდენდნენ მსგავსი პრაქტიკისგან.

ადრეულ საუკუნეებში წმ. მარიამის თაყვანისცემის მიმოფანტული მოწმობები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თუმცა მათი დაყოფა, კონფესიური ორიენტაციის მიხედვით, ორ ძირითად მიმართულებად არის შესაძლებელი. მსგავსი სექტური დაყოფა არ უნდა იყოს დიდად გასაკვირი. ავილოთ, თუნდაც, წმ. მარიამის ხშირად ცვალებადი სტატუსი კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის არსებული დებატების ისტორიაში, სადაც მისმა თაყვანისცემამ ქრისტიანული თემის გამყოფი მთავარი თეოლოგიური ზღუდე აღმართა. და, მიუხედავად, ბოლო ათწლეულებში ქრისტიანული საწყისების შესახებ გაჩენილი კათოლიკე, პროტესტანტი და სეკულარული მეცნიერების შეხედულებების დაახლოების ტენდენციისა, ბივერლი რობერტს გავენტას დაკვირვებით: „წმ მარიამთან დაკავშირებით, პროტესტანტულ და კათოლიკურ შეხედულებებს შორის განსხვავებას, მაინც, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს“.

მართალია, თავი უნდა შევიკავოთ ისეთი მრავალფეროვანი მოვლენის განზოგადებისგან, როგორც თანამედროვე რომაული კათოლიციზმია, თუმცა ბევრი კათოლიკე მეცნიერი, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ავლენს მარიამის თაყვანისცემის შეზღუდული მონაცემების მაქსიმალიზაციის ტენდენციას. ამ პრობლემის ერთ-ერთი, ზოგადად აღიარებული გადაწყვეტა მდგომარეობს თანამედროვე მარიამოლოგიური დოგმების წაკითხვაში ახალი აღთქმისა და ეკლესიის მამების წერილების გათვალისწინებით. მსგავსი მიდგომა მომდინარეობს ადრეული საეკლესიო ლიტერატურიდან, რომელიც გვაგონებს თანამედროვე კათოლიკურ დოქტრინას, და ადრეულ ქრისტიანული ლიტერატურის პირდაპირი წაკითხვისას მსგავსი რწმენის არარსებობის და კონტექსტუალური სირთულეების მიუხედავად მიჩნეულია, რომ მარიამისეული კათოლიკური დოგმები მიეკუთვნება უძველეს ეკლესიას. მაშინ, როდესაც მსგავსი იტერპრეტაცია შესაძლებელია კათოლიკური დოგმატიკის კონტექსტში, სადაც ეკლესიური სწავლების ჭეშმარიტების რწმენა ადრეული მოწმობების სწორედ ასეთ წაკითხვას გულისხმობს, ასეთი აპოლოგეტიკური მცდელობები ვერ ფენენ ნათელს მარიამისეული ღვთისმოსაობის წარმოშობას ისტორიას.

პროტესტანტულ მხარეს, საერთო უარყოფის ფონზე, ყურადღება გამახვილებული იყო მოწმობების დეფიციტზე და ამის საფუძველზე მეხუთე საუკუნის შუა წლებამდე, უარყოფილი იყო წმინდა ქალწულის მიმართ თაყვანისცემის მოვლენა. ამრიგად ეფესოს კრება განიხილება, როგორც შუა საუკუნეებში წმ. ქალწულის კულტის წარმოშობის ერთადერთი და საკმარისი მიზეზი. ამგვარად, ადრეული ეკლესია გარდაიქმნა წმ. მარიამისგან თავისუფალ ზონად, რომელიც კარგად მიესადაგებოდა წმ. მარიამის მიმართ ინტენსიური თაყვანისცემის და მისი, როგორც ღმერთის მშობლის პროტესტანტული უარყოფის კონცეფციას. უნდა ითქვას, რომ ბოლო ათწლეულებში პროტესტანტულ სამყაროში გაჩნდა ინტერესი წმ. მარიამის მიმართ, რომელიც შთაგონებული იყო უფრო ფართო აკადემიური და თეოლოგიური მოსაზრებებით ქალთა ისტორიასა და გენდერთან დაკავშირებით. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს მოსაზრებები უფრო ეხებოდა ახალ აღთქმაში წმ. მარიამის ხსენების ინტერპრეტაციას, ვიდრე მარიამისეულ დოქტრინას და მის თაყვანისცემას. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ამბავი წმ. მარიამის სცენაზე შედარებით გვიან გამოჩენის შესახებ ერთგვარი „პოსტ-პროტესტანტული“ ნიღბით გვევლინება, გარკვეულ სეკულარულ მოსაზრებებში, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი მიდგომა. სამწუხაროდ, აქ ისევე, როგორც ადრეულ პროტესტანტულ სამეცნიერო კვლევებში იკვეთება ანტიკათოლიკური განწყობები.

არ არის გასაკვირი, რომ მსგავსი კონფესიური დინამიკა ნაკლებად სასარგებლო იქნებოდა წმ. მარიამის ადრეული თაყვანისცემის შესწავლის საკითხში. თუმცა, საბედნიეროდ, ისე ჩანს, თითქოს, ეს ნაპრალი თანდათან ვიწროვდება, რადგანაც ბევრი პროტესტანტი თეოლოგი შეეგუა იმ აზრს, რომ მათ მიერ ოთხი მსოფლიო კრების აღიარება შეუძლებელს ხდის მარიამის თაყვანისცემის არსებობის სრულ უარყოფას მაშინ, როდესაც კათოლიკური სამყაროს მეცნიერები მზარდ ინტერესს გამოხატავენ ისტორიის კრიტიკული მეცნიერების მიმართ, ძირითადად ვატიკანის მეორე კრების შემდგომ. მაგრამ ფაქტად რჩება, რომ კათოლიკური წრეების მიღმა ნაკლებად იზიარებენ იმ მოსაზრებას, რომ ეფესოს მსოფლიო კრებამდე შესაძლებელი იყო რამე მნიშვნელოვანი სახით ეარსება წმ. მარიამის თაყვანისცემას. ამიტომაც ძველი დროის კათოლიკე მეცნიერების ნაშრომების უმრავლესობა (რა თქმა უნდა, ყველა არა) იყო, ძირითადად, აპოლოგეტიკური და დოგმატიკური ხასიათისა და, შესაბამისად, გააჩნდა შეზღუდული ისტორიული ღირებულება. ამრიგად, ბევრი თვალსაზრისით, მეჩვენება, რომ წმ. მარიამის მიმართ ღვთისმოსაობის განვითარების კვლევა, მხოლოდ, ახლა არის დაწყებული, და, ამას გარდა, მისი საწყისების დასადგენად საჭირო იქნება შევიხედოთ იმ მოვლენების მიღმა, რასაც ადგილი ჰქონდა ეფესოს მსოფლიო კრებამდე.

წმ. მარიამის ადრეული თაყვანისცემის შესწავლის საკითხში არანაკლებ პრობლემატურია ამ მოვლენის წარმოშობის ადგილის დადგენის დაჟინებული მცდელობა უფრო ფართო, ქრისტიანული ტრადიციის მიღმა არსებულ, კულტურის სივრცეში. ჩემი აზრით, წმ. მარიამის თაყვანისცემის წარმოშობის შესახებ მიმდინარე კვლევების ძირითად ნაკლს ან, ზედმეტი ახსნა-განმარტებები ანდა, არასაკმარისი გააზრება წარმოადგენს. გამოქვეყნებულია უამრავი კვლევა, რომელიც წმ. მარიამის მიმართ ქრისტიანული თაყვანისცემას აღწერს, როგორც გარე იმპულსის შედეგს, რომელიც ქრისტიანულ რწმენაში შემოიჭრა, ან სხვაგვარად, როგორც მხოლოდ თანამედროვე ინტელექტუალური დისკურსის ჭრილში გააზრებულ სპეციფიურ ლოგიკას, რომელიც მოწიწებას ავლენს წმ. მარიამის მიმართ. მართლაც, ასეთი მიდგომის მქონე ნაშრომების ციტირება უფრო ხშირად არაპროფესიონალების პუბლიკაციებში, გვხვდება, ძირითადად იმის გამო, რომ ისინი არ ხელმძღვანელობენ კონფესიური ინტერესით, რომელიც თეოლოგიური ორიენტაციის მქონე წერილების შინაარსს განაპირობებს. თუმცა ძნელია არ ვაღიაროთ მსგავსი მიდგომა, როგორც წმ. მარიამის კულტზე პროტესტანტული შხედულებების ერთგვარი გაგრძელება, ოღონდ ქრისტიანულ ტრადიციაში უფრო გვიან ჩანერგილი. როგორც შედეგი, მარიამის თაყვანისცემა ფაქტობრივად გვევლინება, ისეთ ეგზოტიკურ და ქრისტიანულ რწმენასთან შეუთავსებელ მოვლენად, რომ ამ მოვლენის არსებობის სათანადო გაგებისთვის საჭიროა გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგის დადგენა. თუნდაც ეს იყოს ძველი დროის ქალღმერთების ტრადიცია, ფსიქოანალიზი, „მარადიული ქალურობა“, ან მსხვერპლშეწირვის ანტროპოლოგია, რომელიც ახსნის თუ, რატომ განადიდებდნენ და ეთაყვანებოდნენ ადრეული ქრისტიანები წმ. მარიამს.

რა თქმა უნდა, მსგავსი შხედულებები არ წარმოადგენს შეცდომას, და ისინი ძალიან ფასეულია წმ. მარიამის თაყვანისცემის წარმომავლობის დადგენის საკითხში. წმ. მარიამის ზედმეტად პატრიარქალური სახის ფემინისტური კრიტიკა განსაკუთრებით საჭირო და მისასალმებელია. მაგრამ პრობლემა ის არის, როგორც ამას ლენა მარი პლეტომაა სამართლიანად აღნიშნავს, რომ შხედულებების ასეთი სიმრავლე ხელს გვიშლის ვაღიაროთ, რომ სინამდვილეში ჩვენ ვერ ვახერხებთ ღვთისმშობლის კულტის ისტორიულ რეკონსტრუქციას. წმ. მარიამის თაყვანისცემის საიდუმლოს გასაღების ძიებაზე გაკეთებული ასეთი ძლიერი აქცენტი გვტოვებს წმ. მარიამის თაყვანისცემის წარმოქმნის სათანადო წარმოდგენის გარეშე, რომელიც შეძლებდა ასეთი გავლენის და პრაქტიკის მქონე მოვლენის საფუძველში ჩადებული ძირითადი პრინციპების წარმოშობის აღწერას ადრექრისტიანული ტრადიციისთვის



დამახასიათებელი ლოგიკის გავლენით. ამის სანაცვლოდ წმინდა ქალწულის თაყვანისცემა წარმოდგენილია, როგორც ქრისტიანული ტრადიციისთვის უცხო, ინტორიული ანომალია, რომელიც მოითხოვს თავისი წარმომავლობის ახსნას. შედარებისთვის, მაგალითად, ძნელი წარმოსადგენია მსგავსი აჩქარება ადრეული ქრისტიანების მიერ წმ. თეკლას და წმ. მარიამ მაგდალინელის თაყვანისცემის გარკვევის საკითხში. როგორც ჩანს, მოქმედებს რაღაც განსაკუთრებული პრინციპი მარიამისეული ღვთისმოსაობის განვითარებისადმი განსხვავებულ მიდგომებში. მოვლენის ახსნის სხვადასხვა ვარინტებს შორის, ყველაზე პოპულარული, რა თქმა უნდა, აღმოჩნდა ქალღმერთის ვერსია, ამიტომაც იმსახურებს ის განსაკუთრებულ ყურადღებას. ერთის მხრივ, შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ მარიამის სახე და ის პატივი, რომელსაც მას მიაგებდნენ უფრო ადრეული ტრადიციებით იყო შეფერილი, რომლებიც ხმელთაშუაზღვისპირეთში ქალღმერთების თაყვანისცემიდან მომდინარეობდა. თუმცა, მეორეს მხრივ, ასეთი მსგავსება ზედაპირული ხასიათის არის და ამის გამო ჩვენი ყურადღების მიღმა რჩება უფრო ფუნდამენტური განსხვავებები, როგორც კონცეპტუალურ, ასევე პრაქტიკულ დონეებზე, როგორც ეს ადრექრისტიანული წმინდანების კულტის მიმართაც ხდებოდა. დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მსგავს პარალელებს რამენაირად შეუძლიათ ახსნან წმ. მარიამის კულტის წარმოქმნა და გამოავლინონ ის, როგორც ეგზოგენური მოვლენა ქრისტიანულ ტრადიციასთან მიმართებაში. მარტივი ჭეშმარიტება ის არის, რომ ქრისტიანული რწმენის და პრაქტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი ასახავს ბერძნულ-რომაული სამყაროს უფრო ადრეულ პრეცედენტებს არა მხოლოდ ზოგადად წმინდანების თაყვანისცემის შემთხვევაში, არამედ სხვა სფეროებშიც როგორც არის ევქარისტია და შობის დღესასწაულის აღნიშვნა. ადრექრისტიანულ კულტურაში დატოვებული ელინისტური პრეცედენტების დიდი რაოდენობა აჩენს კითხვას, თუ რამდენად სამართლიანია წმ. მარიამის მიმართ ღვთისმოსაობაზე ქალღმერთის კულტის ტრადიციის გავლენის გამოცალკევება, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე. მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ქრისტიანულ/წარმართული დიქოტომია, რომელიც მსგავს შეხედულებებს უდევს საფუძვლად, ძირითადად მცდარია, განსაკუთრებით გვიანდელ ანტიკურობასთან მიმართებაში.

მეტიც, ჯონათან ზ. სმიტმა და პიტერ ბრაუნმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი ქრისტიანული წეს-ჩვეულების და წმინდანების თაყვანისცემის „წარმართული“ წარმომავლობისადმი არსებული მიმართება, დიდ წილად, მომდინარეობს რომაული კათოლიციზმის წინააღმდეგ მიმართული პროტესტანტული ინვექტივებიდან, ან განმანათლებლობის ეპოქის „ვულგარული“ კრიტიკიდან. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მსგავსი არასწორი გამოყენების

გამო უარი ვთქვათ შედარებით ისტორიულ მეთოდზე -- პირიქით! ამის ნაცვლად უნდა გავაცნობიეროთ, რომ ასეთი მიდგომა ყოველთვის ვერ იქნება იდეოლოგიურად ნეიტრალური და შეიძლება ასახავდეს შესისხლხორცებულ გადახრას. მარიამის ადრეულ ღვთისმოსაობაში შეუძლებელია ვერ დავინახოთ ასეთი ქვეტექსტი: პროტესტანტი მწერლები ხშირად უსვავდნენ ხაზს ძველი კულტების გავლენის როლს წმ. მარიამის თაყვანისცემაში, რომ მომხდარიყო მისი გაუცხოება ქრისტიანული ტრადიციისგან და მარიამისეული კულტის აღზევება წარმოდგენილი ყოფილიყო, როგორც მიმდინარე „გაღმერთების“ პროცესი და არა როგორც გვიან ანტიკური ქრისტიანული ღვთისმოსაობის საკმაოდ ჩვეულებრივი განვითარება. ამგვარად, მართალია, პარალელები ქალღმერთების ანტიკურ კულტსა და მარიამის მიმართ ღვთისმოსაობის ადრეულ გამოვლინებას შორის ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას რელიგიის მკვლევარი ისტორიკოსისთვის, ისინი არ იძლევიან წმ. მარიამის თაყვანისცემის წარმომავლობის ახსნას იმ გაგებით, რასაც ზოგიერთ წინა კვლევებში ვხვდებოდით. ამის მაგივრად, სჯობს დავეთანხმოთ ავერილ კემერონს, რომელიც ძალიან სამართლიანად ასკვნის მარიამის გარმერთებასთან დაკავშირებით, რომ „რელიგიის განვითარებაში მსგვსი მნიშვნელობის მოვლენის ახსნა შეუძლებელია მარტივი და ერთმნიშვნელოვანი ტერმინებით... წარმართულმა სინკრეტიზმმა, შესაძლოა, შეასრულა რაღაც თავისი როლი, მაგრამ, ჩემი აზრით, ის იყო მეორეხარისხოვანი; კონკურენციის ფორმა იქნებოდა საუკეთესო მოდელი.

ამრიგად, გარე მიზეზების ძეხვის მაგივრად, მე გთავაზობთ მცდელობას, მარიამის მიმართ ღვთისმოსაობის წარმოშობის ასახსნელად ვიხელმძღვანელოთ უშუალოდ ქრისტიანული ტრადიციიდან აღებული ტერმინებით. სინამდვილეში, წმ. მარიამის თაყვანისცემა წარმოადგენს ადრექრისტიანული კულტურის პროდუქტს, რომელიც ბუნებრივად აღმოცენდა ქრისტოლოგიისა და ქალწულობის მიმართ მისი ინტერესიდან, განსაკუთრებით კი წმინდანების თაყვანისცემის პრაქტიკიდან. უბრალოდ, არ არის საჭირო ქალწული მარიამის ქრისტიანული თაყვანისცემაში რამე გარე მიზეზების ძეხვა: ის თავისთავად იყო ჩადებული ადრექრისტიანული დისკურსის მოდელებში. რა თქმა უნდა, კვლავ არ იწვევს ეჭვს, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთის ტრადიციებში ქალღმერთების კულტის პრეცედენტები და თანამედროვე სოციალური მეცნიერების იდეები გვთავაზობენ მნიშვნელოვან პერსპექტივას წმ. მარიამის თაყვანისცემის ისტორიის შესწავლაში. მაგრამ, ამავდროულად, აუცილებელია წმ. მარიამის თაყვანისცემის გაგება როგორც მოვლენა, რომელიც უშუალოდ გამოდინარეობს ქრისტიანული ტრადიციიდან. ასეთი გასაოცარი წარმატების მისაღწევად ღვთისმშობლის კულტი მძლავრ რეზონანსში უნდა ყოფილიყო ადრექრისტიანული დისკურსის და პრაქტიკის ძირითად

ელემენტებთან. ეს, განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება მაშინ, როდესაც წმ. მარიამის თაყვანისცემის წარმოშობას განვიხილავთ წმინდანების ქრისტიანული თაყვანისცემის აღმოცენების პროცესში. რადგანაც მხოლოდ ამგვარად შეიძლება გავიაზროთ ღვთისმშობლის კულტი ადრეულ ქრისტიანობაში--უბრალოდ, როგორც წმინდანების აღმოცენებადი კულტის ერთ-ერთი ნაირსახეობა, თუმცა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე. უდაოდ, ამ პერიოდშიც კი, მარიამი ძალიან სწრაფად მოგვევლინა წმინდანად, რომლის თხოვნა და გავლენა თავის შვილზე აღემატებოდა სხვა პოტენციურ მეოხთა შესაძლო გავლენას. ზუსტად ასევე ჩვენ ვხედავთ, რომ უკვე გვიან ანტიკურ ეპოქაში ქალწულის მიმართ მოწიწებამ და პატივის მიგებამ გამოიწვია სხვა წმინდანებზე მისი აღზევება, როგორც ერთგვარი „სუპერ-წმინდანი“ შუა საუკუნეებში და თანამედროვე დასავლეთში. მართლაც, ამ შედარებით გვიანდელ პერიოდებში მარიამი ლამის ზეადამიანად იყო მიჩნეული და აღზევებული და სახიფათოდ მიუახლოვდა თავის შვილს. მიუხედავად ამისა, არ ვაპირებ ავხსნა შუა საუკუნეებსა და თანამედროვე დასავლეთში მიმდინარე ეს შედარებით გვიანდელი მოვლენები, რადგანაც ეს ელემენტები მნიშვნელოვანწილად უცხოა მარიამის თაყვანისცემისთვის გვიანდელ ანტიკურ პერიოდში, და ამას გარდა, არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებული უამრავი საინტერესო კვლევა, რომელითაც შეგვიძლია დავინტერესდეთ. თუმცა, ამავე დროს, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ გვიანდელ დასავლეთის ქრისტიანობაში მარიამის განდიდება, ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ მაინც, პასუხისმგებელია ჩემს მიერ ნახსენებ, მარიამისეული ღვთისმოსაობის ბევრ ზედმეტად დაწვრილმანებულ ახსნაზე. გვიანდელ მოვლენებზე ყურადღების გამახვილება, ზოგ შემთხვევაში, ამრუდებდა მარიამის ღვთისმოსაობაზე სამეცნიერო წარმოდგენებს და ამგვარად აქეზებდა მისი კულტის წარმოქმნის უფრო დრამატული მიზეზების ძიებას. მართალია, ზოგიერთი რომაულ-კათოლიკური წრის ტრადიციებში აპოთეოზს მიახლოებული მარიამის განდიდება შესაძლებელია ემსახურებოდა რაღაც განსაკუთრებული კატალიზატორის აღმოჩენის მცდელობას (თუმცა, პირადად მე სკეპტიკურად ვა განწყობილი ამ მოსაზრების მიმართ). მსგავსი გვიანდელი მოვლენები არ უნდა გვაწუხებდეს მაშინ, როდესაც ვცდილობთ ადრექრისტიანული ღვთისმოსაობის საწყისების დადგენას. ამის ნაცვლად, ძველ ქრისტიანულ რწმენასა და პრაქტიკაში მარიამის როლის უკეთ გასაგებად საჭიროა ოდნავ დავცილდეთ შუა საუკუნეების მარიამს. იმ ადრეულ ეტაპზე ის იყო წმინდანი სხვა წმინდანთა შორის, რომელთაც ეთაყვანებოდნენ განსაკუთრებული სიწმინდისა ისევე, როგორც თავის შვილთან განსაკუთრებული სიახლოვის გამო -- უფრო მოკრძალებული სტატუსი, რომელიც მან დღემდე შეინარჩუნა აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს უდიდეს ნაწილში.

ავერილ კემერონი, როგორც ჩანს, პირველი იყო ვინც ივარაუდა, რომ წმ. მარიამის თაყვანისცემის წარმომავლობის უკეთ გასაგებად საჭიროა მისი მოთავსება წმინდანების აღმოცენებადი კულტის უფრო ფართო კონტექსტში, და მე, რასაკვირველია, მისგან, წმინდა ქალწულის შესახებ, გაცილებით მეტი შევიტყვე ვიდრე ვინმე სხვისგან. ამავდროულად, კემერონი, აგრეთვე, ვარაუდობდა, რომ „მხოლოდ ეფესოს კრებისა და 431 წელს *თეოთოკოსის* სტატუსის აღიარების შემდეგ ვხედავთ ღვთისმშობლის კულტის რეალურ განვითარებას, რომელიც, კერძოდ მეექვსე საუკუნეში, გამოხატული უნდა ყოფილიყო მის სახელთან დაკავშირებულ დღასასწაულების დაწესებაში... და ამბებში მისი გამოცხადებისა და მოხდენილი სასწაულების შესახებ.“ ზუსტად ასევე კემერონი თავის ურიცხვ და ფასდაუდებელ პუბლიკაციებში ხშირად აღნიშნავდა, რომ ღვთისმშობლის კულტი გაცილებით ნელა ვითარდებოდა ვიდრე სხვა ადრეული წმინდანის კულტი, ძირითადად ჰყავდა მხედველობაში წმ. თეკლას კულტი, როგორც მთავარი ორიენტირი. ბევრი თვალსაზრისით, წმ. თეკლა წარმოადგენს იდეალურ ფუგურას მსგავსი შედარებისთვის. რომც აღმოჩნდეს, რომ წმ. თეკლა, სინამდვილეში, არ იყო ისეთი პოპულარული და გავლენიანი ადრექრისტიანულ სამყაროში როგორც წმ. მარიამი, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ, სულ მცირე, პავლე მოციქულის ეს მისიონერი თანამგზავრი იყო ერთად-ერთი ქალის პერსონაჟი ადრეულ ქრისტიანობაში, ვისი პოპულარობა ტოლს არ უდებდა ქრისტეს დედის პოპულარობას. თუმცა, როგორც ამას შემდგომ ვიხილავთ, წმ. მარიამის თაყვანისცემის მოწმობები სინამდვილეში არ ჩამოუვარდებოდა წმ. თეკლას თაყვანისცემის მოწმობებს, ზოგ შემთხვევაში კი, აღემატებოდა კიდევაც.

წმ. თეკლას პრიორიტეტის სასარგებლოდ მოყვანილი დასაბუთებისას კემერონი მიუთითებს ადრექრისტიანული პილიგრიმის, ეგერიას მარშრუტს, რომელმაც 384 წ. მოილოცა წმ. თეკლას დაკრძალვის ადგილი თურქეთის სამხრეთ სანაპიროზე, ქალაქ სელეუციას მახლობლად (თანამედროვე სილიფკე), სადაც მან, პავლე მოციქულისა და წმ. თეკლას საქმეთა მეორე საუკუნის აპოკრიფის მიხედვით, თავისი ცხოვრება დაასრულა. ამას გარდა, სახვით ხელოვნებასა და პილიგრიმობასთან დაკავშირებულ სუვენირებზე წმ. თეკლას გამოსახულება, აგრეთვე მეხუთე საუკუნის „საქმენი და სასწაულები“ კოლექცია, მიგვანიშნებს აადრეული აქტიური კულტის არსებობაზე. ამის საპირისპიროდ, კემერონი ამტკიცებს, რომ, „წმ. თეკლას კულტთან დაკავშირებული მეოთხე, მეხუთე საუკუნის მოწმობების სიუხვე, ქალწული მარიამის შემთხვევაში არ გვხვდება მეექვსე, მეშვიდე საუკუნეებამდე“ ეს კი, თითქმის, ორი საუკუნით გვიან ხდება!

მიუხედავად ეკლესიის მამების მემკვიდრეობის ბევრი მკვლევარ მეცნიერის მიერ წმ. მარიამის თაყვანისცემის დაგვიანებული გაჩენის მტკიცებისა, სიმართლე ის არის, რომ, საერთო ჯამში, წმ. მარიამის კულტის შესახებ მოწმობები არ არის არსებითად ბევრად გვიანდელი, განსაკუთრებით, თუ ჩვენს ყურადღებას რომის იმპერიის საზღვრებს გარეთ მივმართავთ. როგორც დიდი ხნი არის ცნობილი, წმინდა მარიამის ყველაზე ადრეული სამლოცველოები, უკვე მეხუთე საუკუნის პირველ ათწლეულებში, ან კიდევ უფრო ადრე, გაჩნდნენ არა კონსტანტინოპოლში, არამედ იერუსალიმის შემოგარენში. ცნობილია, რომ ეს მოხდა სელევკიაში წმ. თეკლას სალოცავის გაჩენის ცნობიდან ორმოცი წლის მერე. მაგრამ აქ უნდა გაჩნდეს შეკითხვა: რამდენად სარწმუნო უნდა იყოს წმ. მარიამის სამლოცველოს რამდენიმე ათწლეულით გვიან გაჩენის ფაქტის საფუძველზე იმას მტკიცება, რომ წმ. მარიამის კულტი გაჩნდა უფრო გვიან, ან, შეიძლება, ეს განსხვავება შემთხვევითია? ადრეული იერუსალიმური ლიტურგიების შემსწავლელი ზოგიერთი სპეციალისტი და მეცნიერი, უფრო, მეორე შეხედულებას იზიარებს და თვლის, რომ, დიდი ალბათობით, ეს სალოცავები და მათთან დაკავშირებული წმ. მარიამის ყოველწლიური დღესასწაულები სათავეს მეოთხე საუკუნის ბოლოდან იღებენ. და არა მარტო ეს: დაახლოებით იმავე დროს, მეხუთე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ჩნდება იერუსალიმური სალოცავების გაჩენის პირველი მკაფიო მტკიცებულებები, რომში, მხოლოდ მაშინ სრულდებოდა სანტა მარია მაჯორეს ეკლესიის მშენებლობა. თვით 431 წლის მსოფლიო კრება გაიმართა ეფესოში ქალწული მარიამის სახელზე აგებულ ტაძარში!

ლიტერატურის თვალსაზრისით, იაკობის *პროტევანგელიე* უდაოდ შეიძლება ჩაითვალოს პავლეს და თეკლას საქმეთა წიგნის ღირსეულ კონკურენტად. აქედან გამომდინარე სავარაუდოა, რომ მეორე საუკუნის ბოლო პერიოდის ქრისტიანები, პავლე მოციქულის თანამგზავრის თაყვანისცემის მსგავსად, არანაკლებ ინტერესს იჩენდნენ წმ. მარიამის მიმართ. ამ ასპარეზზე კი წმ. მარიამის უპირატესობა აშკარა გახდება, შემდგომ საუკუნეებში: წმ. მარიამის ცხოვრებისა და სასწაულების შესახებ ცნობა მეოთხე საუკუნე განეკუთვნება -- სულ მცირე ერთი საუკუნით გვიან ვიდრე „წმ. თეკლას ცხოვრება და სასწაულები“, და, დიდი ალბათობით, სხვა მარიამისეული ამბავი თარიღდება მესამე საუკუნით, თუ არა უფრო ადრეული დროით. ორივე ეს ადრეული მარიამისეული ტექსტი, უნდა აღინიშნოს, მოწმობს წმ. მარიამის სახელეულზე ლოცვით შემწეობის თხოვნის პრაქტიკაზე, ხოლო მეოთხე საუკუნის მონათხრობი მეტყველებს ღვთისმშობლის მაღალგანვითარებული კულტის არსებობაზე, წელიწადში სამჯერ მის სახელთან დაკავშირებული დღესასწაულით.

ორი განსახილველი ტექსტი ეხება ჩვენ დრომდე მოღწეულ ყველაზე ადრეულ ამბავს მარიამის სიცოცხლის ბოლო პერიოდის შესახებ, ანუ მის მიძინებას ამაღლებას. და, აქ ჩნდება კითხვა, უწყობდა თუ არა ხელს ამ ტექსტების კლასიფიკაცია, როგორც აპოკრიფული და არა აგიოგრაფიული თხზულებები, მათ უგულვებელყოფას მარიამისეული თაყვანისცემის თვალსაზრისით. მართლია ადრეული ქრისტიანობის მკვლევრები დღემდე, ხშირ შემთხვევებში, ამ ტექსტების იგნორირებას ახდენდნენ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ თავისი მნიშვნელოვანებით ადრექრისტიანულ ტრადიციაში მარიამის ადგილის განსაზღვრასა მისი კულტის წარმოქმნაში ისინი უტოლდებიან *პროტოევანგელიეს*. წმ. მარიამის შესახებ არსებული ამ ორი ადრეული ტექსტიდან პირველი, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, როგორც Liber Requiei Mariae. მთლიანი ტექსტი შენარჩუნებულია მხოლოდ, ეთიოპიურ ენაზე თარგმანის სახით, რომელიც განეკუთვნება გვიანანტიკურ პერიოდს, ეთიოპიის მოქცევის შემდეგ. აგრეთვე არსებითი მნიშვნელობის მქონეა ფრაგმენტები სირიულ და ძველ ქართულ ენებზე. ალბათ ამ აპოკრიფების არსებობა ნაკლებად ცნობილ ენებზე არის იმის მიზეზი, რომ მათ, დიდი ხნის განმავლობაში, შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდათ.

მარიამის მიძინების ბერძნული წიგნი, სავარაუდოდ მესამე საუკუნით თარიღდება, თუმცა უფრო ადრეული დათარიღებაც არის შესაძლებელი. *პროტოევანგელიესთან* შედარებით ის ნაკლებად არის ჩაცვიკლული მარიამის უბიწობასა და სიწმინდეზე, სამაგიეროდ წარმოადგენს მას, როგორც ქრისტიანული რწმენის სწორი გაგების მქონე და მოციქულებისა და ქრისტიანული თემის მიერ განდიდებულ, გაცილებით უფრო აქტიურ პერსონაჟს. თავად ისტორია, რომელიც მოგვითხრობს ამ ცხოვრებიდან მარიამის დიდებული წასვლისა და სამოთხეში მისი სხეულის სასწაულებრივი გადასვლის შესახებ, მიზნად ისახავს ქრისტეს მიმდევართა შორის მისი განსაკუთრებულად ამაღლებული სტატუსის ხაზის გასმას. ამავე დროს, ტექსტი არის საოცრად არაორთოდოქსალური ხასიათის, რომელიც მკვეთრ კონტრასტშია უკიდურესად ორთოდოქსალური პროტოევანგელიესთან: მაგალითად იესოს იდენტიფისირება ხდება, როგორც „სინათლის დიდი ქერუბიმის“ გამოვლინება. თავად ტექსტი კი განმსჭვალულია ისეთი ცნებებითა და ლექსიკით, რომელიც სავსებით მიესადაგებოდა აგნოსტიკური ხასიათის ქრისტიანულ ტექსტს. სინამდვილეში, ამ ძველებური აპოკრიფული ტექსტის საღვთისმეტყველო თავისებურებები, თავისთავად უნდა ემსახურებოდნენ მის უფრო სიღრმისეულ განხილვას ადრეული ქრისტიანობის შესწავლის ფარგლებში, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა.

თუმცა, შესაძლებელია, ყველაზე აღსანიშნავი, რაც ჩვენ მიზანს ემსახურება არის ის, რომ მარიამის მიძინების წიგნი შეიცავს მარიამის აღმოცენებადი თაყვანისცემის მოწმობას უკვე მესამე საუკუნეში. კერძოდ, მის დასკვნით ნაწილში, სადაც მარიამი მოციქულებთან ერთად მოინახულებს დაწყველილთა სამკვიდრო ადგილებს, ვლინდება მისი ლოცვის ძალა ცოდვილთა შემწეობაში. ამის საფუძველზე ენრიკო ნორელიმ ახლახანს ივარაუდა, რომ მეორე საუკუნეში ჩასახული მარიამის მიძინების და ამალღების ტრადიცია ემსახურებოდა შუამდგომლობის ლოცვის არსებული პრაქტიკის გამნიშვნელოვანებას: საინტერესო ჰიპოთეზაა, რომელიც უსათუოდ იმსახურებს შემდგომ განხილვას. აქვე უნდა ითქვას, რომ მარიამის თაყვანისცემის ეს ყველაზე ადრეული მოწმობა, როგორც სჩანს, მომდინარეობს აშკარად არაორთოდოქსალური თეოლოგიური გარემოდან. ეს გარემოება აჩენს ვარაუდს, რომ ღვთისმშობლის კულტი სათავეს იღებს ადრეული ქრისტიანობის პროტოორთოდოქსალური დინების ფარგლებს მიღმა, რაც შესაძლებელია, არის, სწორედ, მარიამთან დაკავშირებით ორთოდოქსი მამემის შედარებითი დუმილის მიზეზი.

ამ ორი მნიშვნელოვანი ტექსტიდან, რომელიც მიძინებას ეხება, მეორე ცნობილია როგორც მიძინების ექვსწიგნიანი აპოკრიფი, ვინაიდან ის ექვს ცალკე წიგნად არის დაყოფილი. მართალია, ეს ტექსტი ყველაზე კარგად მეხუთე, მეექვსე საუკუნის სირიულ ხელნაწერებში არის შემონახული, ბერძნული დედანი აშკარად მეოთხე საუკუნის შუა პერიოდს მიეკუთვნება, თუ უფრო ადრეულს არა. კერძოდ, ამაზე მიუთითებს მისი კავშირი მეოთხე საუკუნის ქრისტიანთა ჯგუფთან, რომლებიც ცნობილი იყვნენ როგორც „კოლირიდიანელები“, ეპიფანე სალამანელმა დაგმო ისინი ქალწული მარიამის მიმართ ზედმეტი ერთგულებისთვის. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ მარიამის მიძინების ექვსწიგნიანი აპოკრიფი წარმოადგენს ღვთისმშობლის ადრეული კულტის გასაოცარ მოწმობას თითქმის ასი წლით ადრე ეფესოს კრების მოვლენებამდე. ეს მეტყველებს მარიამის თაყვანისცემის განსაკუთრებით მაღალ დონეზე, რომელიც, გულისხმობდა არა მარტო მარიამისადმი ლოცვას შემწეობის თხოვნით, არამედ ორგანიზებულ საკულტო მსახურებას, ყოველწლიურ დღესასწაულებს და სასწაულებს, რომლებსაც მიაწერდნენ ღვთისმშობელს, მისი გამოცხადების ჩათვლით. თუ ვიხელმძღვანელებთ მიძინების ამ ადრეული ამბით, ეჭვი არ უნდა ჩნდებოდეს იმასთან დაკავშირებით, რომ ღვთისმშობლის კულტმა უკვე მეოთხე საუკუნის შუაში მიაღწია განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს. და, კიდევ ერთხელ აღსანიშნავია, რომ, ამ შემთხვევაში, წმ. მარიამის აღმოცენებადი თაყვანისცემა, თითქოს, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მარგინალურ ჯგუფთან, რომელსაც, ყოველ შემთხვევაში, ეკლესიის ერთი მამა

ერეტიკულად მიიჩნეოდა. თუმცა მიძინების ექვსწიგნიან აპოკრიფში აბსულოტურად არაფერია ერეტიკული ან, თუნდაც, იმ ჯგუფში, რომელსაც დაუპირისპირდა ეპიფანე. მარიამისეული ღვთისმოსაობის გმობა, როგორც მავნესი და თეოლოგიურად ტრანსგრესიულის, გულისხმობს საინტერესო პერსპექტივას წმ. მარიამის თაყვანისცემის „ექსტრა-ორთოდოქსალურ“ წარმომავლობასთან დაკავშირებით.

ლიტერატურული მოწმობების თვალსაზრისით ღვთისმშობლის კულტთან დაკავშირებით გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს ვიდრე წმ. თეკლას შემთხვევაში. თუმცა ისიც მართალია, რომ მარიამი, ადრეულ საეკლესიო მოწყობასა და პილიგრიმობაში, არ არის ისე თვალსაჩინოდ წარმოდგენილი როგორც წმ. თეკლა. თუმცა, განსხვავება არ არის ძალიან დიდი. პირველი ასწლეულების განმავლობაში არ მოიპოვება ხელოვნებაში მარიამის გამოსახულება, რაც არ უნდა იყოს გასაკვირი იმის გათვალისწინებით, რომ მეოთხე საუკუნის დასაწყისამდე შემოინახა ქრისტიანული ხელოვნების ძალიან ცოტა ნიმუში. ერთად-ერთ შესაძლო გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს რომის კატაკომბებში შემონახული ზოგიერთი გამოსახულება, თუმცა შეუძლებელია მათი ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაცია და ეს მწვავე კამათის საგანს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, არსებობს იმის დიდი ალბათობა, რომ იქ ვხვდებით მესამე საუკუნით დათარიღებულ გამოსახულებებს მარიამის დაკრძალვის კონტექსტში. გაცილებით დამაჯერებელია ოქროს შუმაზე გამოსახული რომაული, მეოთხე საუკუნით დათარიღებული, მავედრებელი წმ. მარიამის გამოსახულება. ამჟამად ახლგამოქვეყნებულ *Presbea Theotokou*- ში არნე ეფენბერგის ესეე რამდენიმე ახალი ობიექტის იდენტიფიცირებას ახდენს, რომლებიც ჩემთვის არ იყო აქამდე ცნობილი. სინამდვილეში, მხოლოდ, მეხუთე საუკუნისთვის ვხვდებით ხელოვნებაში წარმოდგენილ წმ. მარიამის გამოსახულებების სიმრავლეს, რაც, უნდა ითქვას, ჩვეულებრივი ამბავი იყო სხვა წმინდანებთან მიმართებაში. მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის მოწმობები, რომელიც ლიტურგიკულ წყაროებში მოიპოვება. ეს, კიდევ ერთი სფეროა, სადაც გვაკლია ქრისტიანობის პირველი რამდენიმე საუკუნის მოწმობები, თუმცა წმ. მარიამი გასაკვირად კარგად არის წარმოდგენილი ყველაზე ადრეული ქრისტიანული თაყვანისცემის ზოგიერთ წყაროში. შესაძლოა, მათ შორის ყველაზე აღსანიშნავია მესამე, მეოთხე საუკუნეებით დათარიღებული, საყოველთაოდ ცნობილი წმ. მარიამის ლოცვის ეგვიპტური პაპირუსი “Sub Tuum praesidium”. მაგრამ, აგრეთვე, არსებობს მეოთხე საუკუნის ბოლო, მეხუთე საუკუნის დასაწყისის მოწმობები, მსხვილ ურბანულ ცენტრებში წმ. მარიამის ხსოვნის აღსანიშნავად გამართული ლიტურგიული ზეიმების შესახებ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი არის იერუსალიმი, რადგანაც იქ გამართული ადრეული ლიტურგიები ძალიან კარგად



არის დოკუმენტირებული. ამას გარდა, სწორედ, იქ მდებარეობდა წმ. მარიამის ორი ყველაზე ადრეული და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი სამლოცველო. ძველი იერუსალიმის ეკლესიისგან შემორჩენილ ღვთისმსახურების შესანიშნავ წიგნებს შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია ძველქართული თარგმანის სახით არსებული, ახლახანს გამოცემული ჰიმნების კრებული, რომელშიც შემონახულია მეოთხე ბოლო და მეხუთე საუკუნის დასაწყისის ჰიმნების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ კრებულში მოიპოვება იმის საკმარისი მოწმობა, რომ იერუსალიმში, ეფესოს კრებამდე პერიოდში, ღვთისმსახურების დროს მუდმივად მიმართავდნენ წმ. მარიამს შემწეობის თხოვნით. ამ თვალსაზრისით, მარიამის ადრეული თაყვანისცემის მოწმობები აღემატება იმას, რასაც ვხვდებით წმ. თეკლას და სხვა წმინდანებთან დაკავშირებით.

შესაძლებელია, ერთგვარ უცნაურობას ვაწყდებით, როდესაც ვპოულობთ ღვთისმშობლის აქტიური კულტის არსებობის დამადასტურებელ ცნობებს გაცილებით ადრე, ვიდრე მოგვეპოვება რამე ცნობა მასთან დაკავშირებული სამლოცველოების გაჩენის შესახებ. როგორც წესი, წმინდანის სამლოცველო ხდებოდა მისი კულტის გაჩენის საფუძველი, განსაკუთრებით წამებულების შემთხვევაში. როგორც წესი, წამებულ წმინდანთა კულტი სათავეს იღებდა მათი დაკრძალვის ადგილიდან, სადაც ადრეული ქრისტიანები იკრიბებოდნენ ადგილობრივი წამებულის ხსოვნის პატივსაცემად და მათი შემწეობის სათხოვნელად. წმინდანის საფლავი და მისი წმინდა ნაწილები, შემწეობის ლოცვის აღსავლენი და სხვა სარიტუალო ქმედების მთავარი ადგილი იყო. ამის მიუხედავად, მარტვილობის და რელიქვიების გარეშე თავად სამლოცველო თითქოს არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი წმ. მარიამის კულტის წარმოქმნაში, როგორც ბევრი სხვა წმინდანის შემთხვევაში, და არსებული მოწმობების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისი თაყვანისცემა თავიდან წარმოიშვა რამე სპეციფიური საკულტო ცენტრის გარეშე. რა თქმა უნდა, საფლავის გარდა იყო სხვა შესაძლებელი ადგილებიც, და ერთ-ერთი ასეთი ყველაზე ადრეული ცენტრი გაჩნდა ქრისტეს შობის ალტერნატიულ ადგილზე, შუაგზაზე იერუსალიმსა და ბეთლემს შორის. თითქმის იმავე დროს ღვთისმშობლის ცარიელი აკლდმა გეთსიმანიის ბაღში გახდა მისი განსაკუთრებული თაყვანისცემის ადგილი, და რაც უფრო სწრაფად ვრცელდებოდა ღვთისმშობლის კულტი მეხუთე საუკუნის ქრისტიანულ სამყაროში, ამ ეკლესიამ დაიკავა წმ. მარიამის მთავარი სიწმინდის საპატიო ადგილი. როგორც სხვა წმინდანების შემთხვევაში, საბოლოოდ მარიამის კულტი განვიდარდა მისი საფლავის გარშემო, თუმცა ის ცარიელი იყო. სხეულის წმინდა ნაწილების არქონის პირობებში, აღმოჩენილი იქნება მისი სამოსის ატრიბუტები, სლოცავებში მისი ყოფნის დასტურად, განსაკუთრებით კონსტანტინოპოლში.

რაც შეეხება ეკლესიის მამების ღუმილს, შესაძლებელია საქმე ის იყო, რომ ადრეული ქრისტიანობის lexorandi მცირედ უსწრებდა თავის lexorandi-ის ღვთისმშობლის თაყვანისცემის მიმართ. უფრო განვრცობილი შეხედულება წმ. მარიამის თაყვანისცემაზე გვაჩვენებს, რომ ეს სავსებით შესაძლებელია. კიდევ და კიდევ, ღვთისმშობლის ხალხური თაყვანისცემა აღემატებოდა მარიოლოგიურ დოქტრინას. ღვთისმეტყველები და ეპისოპოსები მხოლოდ თანდათან ემორჩილებოდნენ მარიამის ერთგული თაყვანისცემლების ნებას და ახალი თვისებების და ქების გათვალისწინებით კორექტივები შეჰქონდათ თავიანთ დოქტრინალურ ფორმულირებებში და ლიტურგიებში. ამასთან მიმართებაში, ჯეინ ბრაუნი ჩვენს ყურადღებას აპყრობს „მარიამისეული რწმენის ხალხურ ბუნებაზე“ და აღნიშნავს, რომ მარიამთან დაკავშირებული ადრეული და შუა საუკუნეების აპოკრიფები, როგორც წესი, წარმოადგენდნენ „მარიამისეული ღვთისმოსაობის ავანგარდს“. ეს ტექსტები ქმნიან ანონიმურ და პოპულარულ კორპუსს, რომელიც არ იყო ღვთისმეტყველების და სასულიერო პირების მიერ შექმნილი, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, დიდ ზეწოლას ახდენდნენ ოფიციალურ რელიგიაზე. დროდადრო ხდებოდა მარიამისეული ღვთისმოსაობის პოპულარული მიმართულებების უარყოფა მათი გადაჭარბებულობის გამო., თუმცა, ხშირად, ისინი „წინასწარმეტყველური“ იყო და ემსახურებოდა არსებული რწმენის და პრაქტიკის ახალი მიმართულებით განვითარებას. სავარაუდოა, რომ მსგავსი დინამიკა მოქმედებდა ადრექრისტიანულ ღვთისმოსაობაშიც.

ხოლო რაც შეეხება ეფესოს კრებას, იქ განვითარებული მოვლენები, როგორც ჩანს, იყო არა ღვთისმშობლის კულტის დასაწყისი, როგორც ამას ვარაუდობდნენ, არამედ იმპერიისა და იმპერიული ეკლესიის მიერ უკვე არსებული საეკლესიო პრაქტიკის მიღებისა და შემდგომი განვითარების მანიშნებელი. სწორედ ეს პოლიტიკური მოვლენები გახდნენ მარიამისეული ღვთისმოსაობის შემდგომი აფეთქების ძირითადი მიზეზი, რომელსაც ადგილი ჰქონდა რომის იმპერიაში მეხუთე საუკუნის შუაში. და, ამ მარიამისეული ღვთისმოსაობის შერწყმას იმპერიასა და მის ეკლესიასთან შეეძლო მკვეთრად შეეცვალა ქალწული მარიამის სახე იმგვარად, რომ ის გამხდარიყო რომის (ან ბიზანტიის) იმპერიის და მისი დედაქალაქის კონსტანტინოპოლის მფარველი. მაგრამ ეს ამბავი, სხვა პროექტისა და სხვა წიგნისთვის მეგულება.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- Barker, Margaret. *The Mother of the Lord*. Vol. 1, *The Lady of the Temple*. London: New York : Bloomsbury T&T Clark, 2012.
- Baun, Jane. "Apocalyptic *Panagia*: Some Byways of Marian Revelation in Byzantium." In *The Cult of the Mother of God in Byzantium: Texts and Images*, edited by Leslie Brubaker and Mary B. Cunningham, 199-218. Aldershot: Ashgate, 2011.
- Belting, Hans. *Likeness and Presence: A History of the Image Before the Era of Art*. Chicago: University of Chicago Press, 1994.
- Benko, Stephen. *The Virgin Goddess: Studies in the Pagan and Christian Roots of Mariology*, Studies in the History of Religions 59. Leiden: E. J. Brill, 1993.
- Blancy, Alain, Maurice Jourjon, and Groupe des Dombes. *Mary in the Plan of God and in the Communion of the Saints: Toward a Common Christian Understanding*. Translated by Matthew J. O'Connell. New York: Paulist Press, 2002.
- Braaten, Carl E., and Robert W. Jenson, eds. *Mary, Mother of God*. Grand Rapids, Mich.: W.B. Eerdmans Pub. Co., 2004.
- Bradshaw, Paul F. *The Search for the Origins of Christian Worship: Sources and Methods for the Study of Early Liturgy*. 2nd ed. Oxford: Oxford University Press, 2002.
- Brown, Peter. *The Cult of the Saints: Its Rise and Function in Latin Christianity*, The Haskell Lectures on History of Religions, New Series, 2. Chicago: University of Chicago Press, 1981.
- Brown, Raymond E., et al. *Mary in the New Testament: A Collaborative Assessment by Protestant and Roman Catholic Scholars*. New York: Paulist Press, 1978.
- Cameron, Averil. "The Theotokos in Sixth-Century Constantinople." *Journal of Theological Studies* N.S. 29 (1978): 79-108.
- . "Virginity as Metaphor: Women and the Rhetoric of Early Christianity." In *History as Text: The Writing of Ancient History*, edited by Averil Cameron, 184-205. London: Duckworth, 1989.
- . *Christianity and the Rhetoric of Empire: The Development of Christian Discourse*, Sather Classical Lectures 55. Berkeley: University of California Press, 1991.
- . *The Mediterranean World in Late Antiquity, A.D. 395-600*. London: Routledge, 1993.
- . "The Early Cult of the Virgin." In *Mother of God: Representations of the Virgin in Byzantine Art*, edited by Maria Vassilaki, 3-15. Milan: Skira, 2000.
- . "The Cult of the Virgin in Late Antiquity: Religious Development and Myth-Making." In *The Church and Mary*, edited by R. N. Swanson, 1-21. Studies in Church History 39. Suffolk: The Boydell Press, 2004.
- . "Introduction." In *Images of the Mother of God: Perceptions of the Theotokos in Byzantium*, edited by Maria Vassilaki, xxvii-xxxii. Aldershot: Ashgate, 2005.
- . "Introduction - The Mother of God in Byzantium: Relics, Icons, Texts." In *The Cult of the Mother of God in Byzantium*, edited by Leslie Brubaker and Mary Cunningham, 1-5. Aldershot: Ashgate, 2011.

- Carroll, Michael P. *The Cult of the Virgin Mary: Psychological Origins*. Princeton: Princeton University Press, 1986.
- Clark, Elizabeth A. *Founding the Fathers: Early Church History and Protestant Professors in Nineteenth-Century America*, *Divinations: Rereading Late Ancient Religion*. Philadelphia: University of Pennsylvania Press, 2011.
- Cunningham, Lawrence. *Mother of God*. 1st ed. San Francisco: Harper & Row, 1982.
- Daley, Brian E. *On the Dormition of Mary: Early Patristic Homilies*. Crestwood, NY: St. Vladimir's Seminary Press, 1998.
- Davis, Stephen J. *The Cult of Saint Thecla: A Tradition of Women's Piety in Late Antiquity*, *Oxford Early Christian Studies*. Oxford: Oxford University Press, 2001.
- Delius, Walter. *Geschichte der Marienverehrung*. München: E. Reinhardt, 1963.
- Fehlner, Peter Damian M., F.F.I. "Immaculata Mediatrix: Toward a Dogmatic Definition of the Coredemption." In *Mary: Coredemptrix, Mediatrix, Advocate: Theological Foundations II: Papal, Pneumatological, Ecumenical*, edited by Mark I. Miravalle, 259-329. Santa Barbara: Queenship Publications, 1996.
- Foskett, Mary F. *A Virgin Conceived: Mary and Classical Representations of Virginity*. Bloomington: Indiana University Press, 2002.
- Fulton, Rachel. *From Judgment to Passion: Devotion to Christ and the Virgin Mary, 800-1200*. New York: Columbia University Press, 2002.
- Gambero, Luigi. "Patristic Intuitions of Mary's Role as Mediatrix and Advocate: The Invocation of the Faithful for Her Help." *Marian Studies* 52 (2001): 78-101.
- Gaventa, Beverly Roberts. *Mary: Glimpses of the Mother of Jesus*, *Studies on Personalities of the New Testament*. Columbia, SC: University of South Carolina Press, 1995.
- Gaventa, Beverly Roberts, and Cynthia L. Rigby, eds. *Blessed One: Protestant Perspectives on Mary*. 1st ed. Louisville, Ky.: Westminster John Knox Press, 2002.
- Geffcken, Johannes. *The Last Days of Greco-Roman Paganism, Europe in the Middle Ages*. New York: North Holland Publishing, 1978.
- Jaeger, Werner. *Early Christianity and Greek Paideia*. Cambridge: Belknap Press of Harvard University Press, 1961.
- Johnson, Elizabeth A. *Truly Our Sister: A Theology of Mary in the Communion of Saints*. New York: Continuum, 2003.
- Jugie, Martin. *La mort et l'assomption de la Sainte Vierge, étude historico-doctrinale*, *Studi e testi* 114. Vatican City: Biblioteca Apostolica Vaticana, 1944.
- . *L'Immaculée Conception dans l'Écriture sainte et dans la tradition orientale*, *Collectio Edita Cura Academiae Marianae Internationalis, Textus et Disquisitiones, Bibliotheca Immaculatae Conceptionis*, 3. Rome: Academia Mariana/Officium Libri Catholici, 1952.
- Karwiese, Stefan. "The Church of Mary and the Temple of Hadrian Olympos." In *Ephesos, Metropolis of Asia: An Interdisciplinary Approach to its Archaeology, Religion, and Culture*, edited by Helmut Koester, 311-19. *Harvard Theological Studies*. Valley Forge, Penn.: Trinity Press International, 1995.

- Kearns, Cleo McNelly. *The Virgin Mary, Monotheism, and Sacrifice*. Cambridge: Cambridge University Press, 2008.
- MacCulloch, Diarmaid. *A History of Christianity: The First Three Thousand Years*. New York: Viking, 2009.
- Marianus, Congressus Mariologicus. *De primordiis cultus Mariani; Acta Congressus Mariologici-Mariani Internationalis in Lusitania anno 1967 celebrati*. 6 vols. Rome: Pontificia Academia Mariana Internationalis, 1970.
- Maunder, Chris, ed. *Origins of the Cult of the Virgin Mary*. London ; New York: Burns & Oates, 2008.
- McGuckin, John. "The Early Cult of Mary and Inter-Religious Contexts in the Fifth-Century Church." In *The Origins of the Cult of the Virgin*, edited by Chris Maunder, 1-22. London: Burns & Oates, 2008.
- Meier, John P. *A Marginal Jew: Rethinking the Historical Jesus*. 3 vols. Vol. 1, *The Roots of the Problem and the Person*. New York: Doubleday, 1991.
- Peltomaa, Leena Mari. "Towards the Origins of the History of the Cult of Mary." *Studia Patristica* 40 (2006): 75-86.
- Reynolds, Brian. *Gateway to Heaven: Marian Doctrine and Devotion, Image and Typology in the Patristic and Medieval Periods*. Hyde Park, NY: New City Press, 2012.
- Rubin, Miri. *Mother of God: A History of the Virgin Mary*. New Haven: Yale University Press, 2009.
- Shoemaker, Stephen J. "Marian Liturgies and Devotion in Early Christianity." In *Mary: The Complete Resource*, edited by Sarah Jane Boss, 130-45. London: Continuum Press, 2007.
- . "Epiphanius of Salamis, the Kollyridians, and the Early Dormition Narratives: The Cult of the Virgin in the Later Fourth Century." *Journal of Early Christian Studies* 16 (2008): 369-99.
- . "The Cult of the Virgin in the Fourth Century: A Fresh Look at Some Old and New Sources." In *The Origins of the Cult of the Virgin Mary*, edited by Chris Maunder, 71-87. London: Burns & Oates, 2008.
- . "Apocrypha and Liturgy in the Fourth Century: The Case of the "Six Books" Dormition Apocryphon." In *Jewish and Christian Scriptures: The Function of 'Canonical' and 'Non-canonical' Religious Texts*, edited by James H. Charlesworth and Lee Martin McDonald, 153-63. London: T & T Clark, 2010.
- Smith, Jonathan Z. *Drudgery Divine: On the Comparison of Early Christianities and the Religions of Late Antiquity*, Jordan Lectures in Comparative Religion, 14. Chicago: University of Chicago Press, 1990.
- Tavard, George H. *The Thousand Faces of the Virgin Mary*. Collegeville, Minn.: Liturgical Press, 1996.
- von Campenhausen, Hans. *The Virgin Birth in the Theology of the Ancient Church*. Translated by Frank Clarke, Studies in Historical Theology, 2. London: SCM Press, 1964.

Warner, Marina. *Alone of All Her Sex: The Myth and the Cult of the Virgin Mary*. 1st American ed. New York: Knopf, 1976.